

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) სალომე ღონღაძე
თანამდებობის დასახელება კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება ქართულკი ოცნება დემოკრატიული საქართველო
კომისიის დასახელება სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პროპორციული სიით
საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან- 2019 წლის 1 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _____

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -22-----
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 17
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 6+12 მათ შორის დროებითი კომისიების-----
კომისიის სხდომებზე დასწრება 5+12 მათ შორის დროებით კომისიებში-----
3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 12
ფრაქციის სხდომებზე დასწრება 8
4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები
ჩემს მიერ 2019 წლის განმავლობაში ინიცირებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები,
როგორებიცაა: ახალშობილთა დახმარების პროგრამა(ახალშობილთა კალათი), მარჩენალ დაკარგული
და მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა,სტუდენტთა თანადაფინანსების 3 კომპონენტი (შშმ
სტუდენტების, დედით და მამით ობოლი სტუდენტების და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე
სტუდენტების დაფინანსება),ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურის ადგილობრივ
დონეზე დანერგვა, ძალადობის მსხვერპლი ადამიანებისათვის თავშესაფარის უზრუნველყოფა.
გენდერული თანასწორობის საბჭოზე ჩემს მიერ ინიცირებული იყო რამოდენიმე საკითხი. მათ შორის
პანდუსების მოწყობა,ქუჩების სახელდება, საბავშვო ბაღების რეფორმა და ეზოების მოწყობა და ა.შ
ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა---- დადგენილება,--- განკარგულება
5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები -----
ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კომისიებზეა და საკრებულოს სხდომაზე იყო წამოყენებული
და ვთვლიდი მიზანშეწონილად, მხარდაჭერილი იყო ჩემს მიერ.
6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა
7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 100 და შეხვედრებზე მონაწილე
მოქალაქეთა რაოდენობა 1000 ზე მეტი
8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
სოციალური პრობლემები, დასაქმების პრობლემა, ბაღების მოწესრიგება,გენდერული
დისბალანსი,წყლის პრობლემა და ა.შ
9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად
გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)
მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იკვეთება მნიშვნელოვანი საკითხები,რომელიც საჭიროებს
მყისიერ რეაგირებას კომპეტენციის ფარგლებში. რიგ შემთხვევებში გადამისამართებას. უფრო ხშირად
კი სოციალურად შეჭირვებულების დახმარებას, რისი შემთხვევებიც მრავლად არსებობს. ასევე ,მათ
მიერ დაყენებული საკითხების ლობირებას შესაბამის უწყებებთან.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესში. გავიარე რამოდენიმე მნიშვნელოვანი ტრენინგი და ასევე დავესწარი მნიშვნელოვან კონფერენციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

2018 წლის 1-2 ნოემბერს დავესწარი ლოპოტაზე გამართულ სათემო ლიდერთა ფორუმს. 14-16 ნოემბერს ELARD-ის მიერ გამართულ ტრენინგს თემის განვითარებასა და ლიდერის მდგომარეობაზე. 2019 წლის 13-14 თებერვალს მიწვეული ვიყავი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ნორვეგიის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციასთან ერთად. 21-23 თებერვალს ლოპოტაზე საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მიერ გამართულ შეხვედრას ვესწრებოდი., ხოლო წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და GIZ ის მიერ გამართულ ტრენინგზე. ასევე დავესწარი ლიდერთა სკოლის ტრენინგებს, რომელიც ქალი საკრებულოს წევრების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. 26 მარტს დავესწარი GALAG-ის მიერ გამართულ ტრენინგზე. 2019 წლის 23 აპრილს ვიმყოფებოდი კიევში გამართულ შეხვედრაზე, სადაც გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოცდილება გავუზიარე უკრაინელ კოლეგებს. 2019 წლის სექტემბერში ვიმყოფებოდი ესტონეთში ქალაქ პიარნუმში გამართულ ლინკის კონფერენციაზე, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელს გავეცანი.

ამავე წლის დასაწყისში ჩემი ინიციატივით გენდერული თანასწორობის საკითგებში გადავამზადეთ პასუხისმგებელი პირები და საბჭოს წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები. 2019 წლის მაისი-სექტემბრის თვეში განვახორციელეთ ქალთა ფონდის მიერ დაფინანსებული ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა 15 თემში ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილ ტრენინგებს და ეთნიკური უმცირესობების კვლევებს. ასევე, ამავე წელს დავამთავრე სოლიდარობის ფონდის მიერ გამოცხადებული პარტიციპაციის აკადემია, სადაც შევისწავლე სამოქალაქო ბიუჯეტირების ფორმები და პროცესები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ინიციატივით ხელი მოეწერა ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ.

2019 წელს შეიქმნა საკრებულოსთან არსებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს ბაღების მდგომარეობის ანალიზს. ვარ აღნიშნული ჯგუფის ხელმძღვანელი და ამავედროს სხვა ჯგუფების წევრი.

შევსების თარიღი 27.11.2019

წარდგენის თარიღი 28.10.2019

ხელის მოწერა

საჯარო შეხვედრაზე საკრებულოს წევრების ევა ლომთაძის, ალიხან ალლაზოვის და ფირუზ გელაშვილის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2019 წლის 28 ოქტომბერი
ლაგოდენი

ქალაქი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ევა ლომთაძე, ალიხან ალლაზოვი და ფირუზ გელაშვილი.
ლაგოდენის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ევა ლომთაძის ანგარიში 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

/ანგარიშის ფორმა თან

ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალიხან ალლაზოვის ანგარიში 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

/ანგარიშის ფორმა თან

ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ფირუზ გელაშვილის ანგარიში 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

/ანგარიშის ფორმა თან

ერთვის/

ანგარიშის დროს აღინიშნა, რომ საკრებულოს წევრების მიერ რეგულარულად ხორციელდება მოქალაქეებთან შეხვედრა, ანგარიშგება და მათი პრობლემების კვლევა, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი, პრობლემური საკითხები, რომელებიც მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს:


- ლაგოდენში წყლის სისტემის მოუგვარებლობა;
- გაზიფიცირება ბაისუბნის თემში;
- გზებისა და შეწყვეტილი სოციალური დახმარებების პრობლემა;
- მიუსაფარი ცხოველები /ძაღვები, კატები/;
- თბობის სეზონთან დაკავშირებული პრობლემები;
- უგზოობა /შიდა სასოფლო გზები/;
- ვარდისუბნის ბაღთან მისასვლელი გზები;
- განადგურებული ქარსაცავების ზოლი/;
- მეორე ბაგა-ბაღის გახსნის აუცილებლობის საკითხი კაბლის თემში;

- უწყლოობა სოფელ კაბალში;
- კაბლის თემიდან გიორგეთის საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის ტრანსპორტის გამოყოფა; გუჯარეთში სასმელი წყლის ხარისხის ვარგისიანობის საკითხი;
- კანალიზაციის არარსებობა ქალაქ ლაგოდეხის უმრავლეს ქუჩებში;
- დაბინძურებული მდინარეები;
- უმუშევრობა;
- ახალგაზრდებისათვის გასართობი ცენტრების არარსებობა;
- მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის სიმწირე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- მძიმე პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის შესაბამისი დახმარების პროგრამების არარსებობა;
- წამლების დახმარების პროგრამის შეწყვეტა;
- დაზიანებული კორექტორი ქ. ლაგოდეხში;
- ბავშვთა გასართობი ადგილების ნაკლებობა;
- სპორტული მოედნების და სკვერების სიმცირე, მათი გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ბაღების მძიმე მდგომარეობა /კართუბანი, კაბალი, ცოდნისკარი, ქ. ლაგოდეხის მესამე ბაგა-ბაღი/;
- სხვადასხვა სპორტული /ხელოვნების წრეების და საგანმანათლებლო სივრცეების სიმცირე; თანამედროვე ბიბლიოთეკების არარსებობა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი ინვენტარის სიმწირე;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა /არაადაპტირებული გარემო, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის არაადაპტირებული გარემო სკვერებში /საქანელა/;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევები;
- ადრეულ ასაკში ქორწინება;
- მიგრაციის მაღალი დონე;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების დაბალი სოციალური ინტეგრაციის დონე; სოფლის ცენტრებში პენსიონერებისათვის სკამების სიმცირე /პენსიის აღების დროს ამის გამო ძალიან უჭირთ ხანდაზმულებს/;
- მოუგვარებელი სარწყავი სისტემა,
- თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ნაკლებობა;
- მიწის გამოკვლევის საჭიროება /ლაბორატორიის არარსებობა/;
- ვაშლოვანის ქუჩის პრობლემა-დაცული ტერიტორიების არეალში არსებული მონაკვეთი მოითხოვს გადაუდებელ ღონისძიებას-ხევის კალაპოტის გაწმენდას;
- სოფლის საძოვრები;
- სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სერვისების დაბალი დონე;
- შემნახავი სამაცივრე ადგილების არარსებობა;
- სასაფლაოების მდგომარეობა;
- ცალკეული ნაკვეთები მიტაცებულია ხეების მიერ;
- ტროტუარების არარსებობა ქალაქში, ცენტრალურ გზატკეცილებზე;
- გარეგანათების პრობლემა ცალკეულ სოფლებში /მაწიმი/;
- საგზაო უსაფრთხოების პრობლემა /ნიშნები, ვიდეო-კამერები/;
- ინტერნეტის არარსებობა სოფლებში /ნაინდროვალი/;
- სანიაღვრე არხების პრობლემა;

- კულტურის სახლების, სათემო ცენტრების, საბანკეტო დარბაზების სიმცირე /მოუწყობლობა;
- საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა;
- სასაფლაოებზე წყლის სისტემის არარსებობა;
- მუნიციპალური საავადმყოფოს საკითხი;
- ე. წ. „პოლკოვის ბაღის“ მოწესრიგება;
- სპორტული მოედნების და სკვერების შექმნა-მოწესრიგება;
- მაგთის ოფისთან მდებარე სკვერის მოწესრიგება ქ. ლაგოდეხში;
- მოსახლეობის სახლების მდგომარეობა /სახურავები;
- საერთო ბინებში სადარბაზოების სავალალო მდგომარეობა, მათ შორის ჩაბნელებული სადარბაზოები;
- სოფლებში, ცენტრალურ გზებზე, მოსაცდელეების არარსებობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის ეტლების საჭიროება;
- სასწრაფო დახმარების მანქანების რიცხვის ზრდა, ასევე სასწრაფოში მომსახურე დამატებითი ჯგუფის ჩამოყალიბება;

საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მოქალაქეებს თვითმმართველობის საქმიანობაში აქტიური ჩართულობისა და თანამშრომლობისათვის.

სხდომის თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია